ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 107

ქალაქი ქუთაისი 31 აგვისტო 2022 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ (ს/კ: 412744678) დაშლისა და ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 38-ე მუხლის 1[1], მე-2, მე-3, მე-4 პუნქტების, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე და 81-ე მუხლების, „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოს დაშლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 16 იანვრის N1-1/6 ბრძანებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 5 მარტის № 572 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ წესდების მე-12 მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ (ს/კ: 412744678) დაშლა.

მუხლი 2. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს დაიწყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ (ს/კ: 412744678) ლიკვიდაციის პროცესი და დანიშნოს ლიკვიდატორი.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 203
„1“ 09 2022 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო